ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6736416

ნომერი: AR1997456

თარიღი : 27.10.2023

გაცემის თარიღი : 31.10.2023

გაცნობის თარიღი : 31.10.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე მელიქიშვილის გამზირი, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია ბოლოთაური პ/ნ 35001082081
- რუსთავი დ.გურამიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 3-2

ორგანიზაცია:

- შპს მელიქიშვილი ინნ კოდი: 405463546

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან ხდება არსებული შენობის იმგვარი რეონსტრუქცია, რაც გულისხმობს ფართის მატებას, გადახურვის ნაწილის ცვლილებას, ღიობების ნახატის შეცვლას და ა.შ. საჭიროა შესაბამისი ნომენკლატურით იქნას დარეგისტრირებული განაცხადი. > I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები > 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა > რეკონსტრუქცია;
2. ასევე იმ შემთხვევაში თუ ხდება სარეკლამო აბრის მოხსნა ან განთავსება საჭიროა შერჩეულ იქნას შესაბამისი ნომენკლატურა > აბრებისა და რეკლამების განთავსება > დემონტაჟი / ახალი მშენებლობა;
3. წარმოდგენილ იქნას არსებული და საპროექტო გეგმა, ჭრილი და ფასადი შესაბამისი ღერძების, ზომებისა და ნიშნულების მითითებით;
4. წარმოდგენილ იქნას არსებული და საპროექტო გენგეგმა. გენგეგმაზე ასახულ იქნას არსებული ხე-ნარგავები და საჭიროებისამებრ გათვალისწინებულ იქნას სარეონსტრუქციო შენობა-ნაგებობამდე საჭირო ინტერვალი. გენგეგმაზე ასახულ იქნას საკადასტრო ხაზები;
5. გათვალისწინებულ იქნას რომ გარე სივრცის ავეჯი (მაგიდა-სამები) არ წარმოადგენს სანებართვო საგანს, რადგან არასტაციონალური ობიექტებია;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.